ზუგდიდის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექციამ გადაწყვიტა შოფერებისთვის ფრენბურთის მოედანი მოეწყო. ამ თაოსნობას გატაცებით დაუჭირა მხარი საწარმოს ახალგაზრდობამ. სიტყვა და საქმე ერთი იყო: ამას წინათ აქ საზეიმოდ გაიხსნა ახალი მოედანი.

შოფერები სისტემატურად ვარჯიშობენ, ამხანაგურ შეხვედრებს ატარებენ.

## სიტყვა და საქმე

გ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.






პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 136 (4646)

1972 წ. 13 ივლისი, ხუთშაბათი, ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




## სპორტი დასვენებას ალამაზებს

ზაფხულში შინ დარჩენილი ბევრი თბილისელი მოსწავლე ორდღეებს დედაქალაქის კულტურისა და დასვენების პარკებში ორგანიზებულ პიონერთა ბანაკებში ატარებს. კალინინის რაიონის მოსწავლეთათვის ასეთი ბანაკი კიროვის სახელობის პარკში გაიხსნა.

რა თქმა უნდა, ბანაკში სპორტს დიდი ყურადღება ექცევა. მოსწავლეები ეჯიბრებიან ერთმანეთს კალათბურთში, ტანვარჯიშში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში...

სპორტულ საქმიანობას ხელმძღვანელობს თბილისის 42-ე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. არჩვაძე.

ჯ. ჯეირანაშვილი,
თბილისის 61-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

• • •

სურათებზე: მოჭადრაკეთა პაექრობა; მაგიდის ჩოგბურთელები ვარჯიშობენ; ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. არჩვაძე კალათბურთელებს საასპარეზოდ იხმობს.

ავტორის ფოტოები.

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

## პირველი პარტია

**სპასკი — ფიშერი**

ნიმცოვიჩის დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 d5 4. მc3 კb4 5. e3 0—0 6. კd3 c5 7. 0—0 მc6 8. a3 კa5 9. მe2 dc 10. კ:c4 კb6 11. dc ლ:d1 12. ე:d1 კ:c5 13. b4 კe7 14. კb2 კd7 15. ეac1 ეfd8 16. მed4 მ:d4 17. მ:d4 კa4 18. კb3 კ:b3 19. მ:b3 ე:d1+ 20. ე:d1 ეc8 21. მფf1 მფf8 22. მფe2 მe4 23. ეc1 ე:c1 24. კ:c1 f6 25. მa5 მd6 26. მფd3 კd8 27. მc4 კc7 28. მ:d6 კ:d6 29. b5 კ:h2 30. g3 h5 31. მფe2 h4 32. მფf3 მფe7 33. მფg2 hg 34. fg კ:g3 35. მფ:g3 მფd6 36. a4 მფd5 37. კa3 მფe4 38. კc5 a6 39. b6 f5 40. მფh4 f4.

პარტია გადაიდო ამ პოზიციაში:



41-ე სვლა სპასკიმ ჩაიწერა.

პარტიაში ნიმცოვიჩის დაცვის მშვიდი სისტემა გათამაშდა. მსვლელობის მე-14 სვლამდე იგი სპასკი — კროგიუსის პარტიას (რიგა, 1958 წ.) ემთხვეოდა. ფიშერმა უკეთესი გაგრძელება აირჩია.

ლაზიერების გაცვლის შემდეგ ფიშერმა ეტლები და სამი მსუბუქი ფიგურაც გაცვალა. დაფაზე საყაიმო პოზიცია შეიქმნა. მეტოქენი თითქოს მალე უნდა დაზავებულიყვნენ კიდეც, მაგრამ 29-ე სვლაზე ფიშერმა შეცდომა დაუშვა: კუთი პაიკი აიყვანა, მაგრამ ეს კუ ვეღარ გაათავისუფლა და იძულებული გახდა დაეთმო იგი კიდევ ერთ პაიკში.

ენდშპილში მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა. მაგრამ სპასკიმ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება. როცა მსოფლიო ჩემპიონმა 40 სვლა გააკეთა, პარტია გადადო, რათა კაბინეტის მყუდროებაში ანალიზით მოენახა უპირატესობის რეალიზების გზა.

• • •

დღეს მეორე პარტია იქნება. თეთრებით ფიშერი ითამაშებს.

## სად და როგორ...

სპასკი — ფიშერის მატჩი გამოფენათა სასახლეში მიმდინარეობს. ვეებერთელა მაღალჭერიან დარბაზს ლამაზი ამფითეატრი აქვს, იატაკი ნოხებითაა მოფენილი. დარბაზში სსრ კავშირის, აშშ-სა და ისლანდიის სახელმწიფო ალმებია გამოფენილი. სცენა საგრძნობლადაა დაცილებული პირველ რიგს და თოკითაა გამოყოფილი. დღის შუქის კაშკაშა ნათურები საჭადრაკო მაგიდას სინათლეს აფრქვევენ. სიღრმეში — მატჩის ემბლემაა თეთრ-წითელი ზოლებით. მაგიდის ორივე მხარეს, ოღონდ კარგა მოცილებით, ქვის დიდ კალათებში ცოცხალი ყვავილები დგას.

მსოფლიო ჩემპიონი ისლანდიის ორგანიზატორთა მიერ შეთავაზებულ სავარძელში ზის, ფიშერი კი იმ სავარძელში, რომელიც ბუენოს-აირესში ტ. პეტროსიანთან მატჩში იდგა. ეს სავარძელი მან ნიუ-იორკიდან თვითმფრინავით ჩამოიტანეს.

პარტიის დემონსტრაცია სატელევიზიო სისტემით ხდება სცენის თავზე გაკრული დახლოებით 80 კვადრატული მეტრის ეკრანზე.

## ლევაშვილი — ევროპის ჩემპიონი

ხვარი (იუგოსლავია), 10 ივლისი. გუშინ საღამოს აქ დამთავრდა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. სსრ კავშირის წარმომადგენლებმა ვერ გაიმეორეს თანატოლი „კლასიკოსების“ წარმატება, რომლებიც, როგორც ცნობილია, ამავე ქალაქში შესანიშნავად გამოვიდნენ: გუნდურ ჩათვლაში უძლიერესის წოდება შეინარჩუნეს, ხოლო პირადში 6 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს.

ამჯერად, საბჭოთა გუნდი II ადგილს დასჯერდა — 49 ქულა დააგროვა. 52 ქულით პირველობა ბულგარეთის იუნიორებს ხვდათ. III ადგილზეა რუმინეთის ნაკრები — 26,5 ქულა.

საბჭოთა მოჭიდავეებმა 5 ოქროს მედალი მოიპოვეს. ოქროს ლაურეატები გახდნენ ტაშკენტელი ა. აბდურახმანოვი, თბილისელი ი. ლევაშვილი, ორჯონიკიძელი ტ. ხოკოევი, მოსკოველი რ. ინველდიევი და ორჯონიკიძელი ს. ანდიევი.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულ ბულგარელებს სულ სამი ოქრო აქვთ, მაგრამ 6 ვერცხლის მედალი მოიგეს, რამაც, ცხადია, გადაწყვიტა I და II ადგილების ბედი.

თავისუფალი ჭიდაობა

## მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

## მსაჯი თამაშგარე მდგომარეობაში

კიევი, 12 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ დიდ ინტერესს იწვევდა მატჩი III ქვეჯგუფში სომხეთისა და საქართველოს ფეხბურთელთა გუნდებს შორის. თამაში გარდამავალი უპირატესობით და ორმხრივი იერიშებით დაიწყო. ერთ-ერთ მომენტში ჩვენი გუნდის მცველმა უხეში შეცდომა დაუშვა, რითაც მოწინააღმდეგეს ანგარიშის გახსნის საშუალება მისცა.

შესვენების შემდეგ საქართველოს გუნდი მძლავრ იერიშზე გადავიდა და 50-ე წუთზე გორელმა ხანიშვილმა ფლანგიდან მოწოდებული ბურთი ზუსტი დარტყმით გაგზავნა კარში — 1:1.

დადგა მატჩის გადამწყვეტი პერიოდი, როცა ორივე გუნდი მთელი შეძლებლობით იბრძოდა წარმატების მისაღწევად. ამ ბრძოლაში მეტისმეტად აქტიურად „ჩაება“ კიეველი არბიტრი სილიცკი. მისი არაობიექტური, მიკერძოებული მსაჯობა ყოველგვარ საზღვრებს ცდებოდა. მაგალითად, ერთ მომენტში სომხეთის გუნდის კარის პირისპირ გავიდა კრავჩენკო, რომელიც მცველებმა მსაჯის თვალწინ მოცელეს. სილიცკის სასტვენი სდუმდა, თუმცა წესის დარღვევა ეჭვს არ იწვევდა.

შემდეგ ჩვენმა მეკარემ, ქუთაისელმა კვერნაძემ, უაღრესად ძნელი ბურთი აიღო აშკარა თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მეტოქისგან, არბიტრი კი კვლავ სდუმდა. მალე ერთობ საეჭვო ვითარებაში სილიცკიმ საქართველოს გუნდის კარში პენალტი დანიშნა, რომელიც სომხეთის ნაკრებმა გამოიყენა და დაწინაურდა — 2:1.

ასეთ ვითარებაში თამაში ძალიან გაჭირდა. მიუხედავად ამისა, 85-ე წუთზე ფლანგზე გათამაშებული კომბინაციის შემდეგ ბურთი მიუვიდა ხანიშვილს, რომელმაც დაუყოვნებლივ გაგზავნა იგი ბადეში. მსაჯმა დასტვინა და... თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა.

საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობამ გააპროტესტა მატჩის შედეგი. პროტესტის მოტივი ისაა, რომ ნორჩ სპორტსმენთა ასპარეზობა არ შეიძლება მიმდინარეობდეს ასეთ არაობიექტურ, მიკერძოებულ ვითარებაში.

მოვიყვანთ სხვა ქვეჯგუფებში ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები:

I ქვეჯგუფი. ესტონეთი — ლიტვა 0:2, მოსკოვი — აზერბაიჯანი 1:0. 3 ქულით წინ არიან ლიტველები. II ქვეჯგუფი. უკრაინა — უზბეკეთი 1:0, რსფსრ — ბელორუსია 1:0, ყაზახეთი — ყირგიზეთი 1:0. 4 ქულით წინაა უკრაინის გუნდი. III ქვეჯგუფი. ტაჯიკეთი — მოლდავეთი 1:1, ლენინგრადი — თურქმენეთი 2:2. 4 ქულით ლიდერობს სომხეთის გუნდი.

ჯ. ენუქიძე.

... 19$^{45}$

◆ პეჩი (უნგრეთი), 12 ივლისი. ავტომოდელისტთა აქ დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა „მეგობრობისა და ძმობის თასი“ მოიგო — 2394 ქულა დააგროვა. II ადგილი დაიკავა უნგრეთის ნაკრებმა (1884 ქულა), III — ბულგარელთა კოლექტივმა (736). თითოეული მონაწილე ორი მოდელით გამოდიოდა. 2,5 კბ სმ-მდე კლასში პირველი ორი ადგილი ყაზახეთის წარმომადგენელმა ა. გარკუშინმა მოიგო. მისმა მოდელებმა განავითარეს სიჩქარე შესაბამისად 223,3 და 218,9 კმ საათში, თანაც მსოფლიო რეკორდს (215 კმ საათში) გადააჭარბეს. უსწრაფესი მოდელები ჩამოიტანა მოსკოვის ოლქის ქალაქ ჟუკოვსკის წარმომადგენელმა ვ. იაკუბოვიჩმაც. მან ასევე პირველი ორი ადგილი დაისაკუთრა (5 კბ სმ კლასში). სიჩქარე შესაბამისად ასეთი იყო: 231,6 და 225,2 კმ საათში, თანაც ევროპის რეკორდზე (223 კმ საათში) უკეთესია.

◆ ლანჩხუთი

აქ გაიმართა სოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრება ხელბურთში. I და II ადგილები შესაბამისად დაიკავეს აფხაზეთის და აჭარის ქალთა გუნდებმა. ვაჟებში I და II ადგილები მოიპოვეს აფხაზეთისა და ლანჩხუთის ხელბურთელებმა. შეჯიბრების დებულებით, ამ ოთხმა კოლექტივმა ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მიიღო.

ი. მერაბიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

# იოლი ზღუდის მიუხედავად

50

მძლეოსნებს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი მასპინძლობდა. ტურნირში ოთხი ჯგუფის კოლექტივები მონაწილეობდნენ. ოღონდ ეს იყო: მეოთხე ჯგუფში, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბების გუნდებისთვის იყო შექმნილი, მხოლოდ რესპუბლიკური უნივერსიადის ჩემპიონი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრები გამოდიოდა და, ყველა ჯგუფის გუნდების საერთო ჩათვლა რომ ავიღოთ, საუკეთესო შედეგიც (10999 ქულა) მოიპოვა.

პირველი ჯგუფი შექმნეს იმ ფიზკულტურულმა კოლექტივებმა და სპორტკლუბებმა, სადაც 3000-ზე მეტი მუშა-მოსამსახურეა. აქ გამარჯვება თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტკლუბ „სინათლის“ მძლეოსნებს დარჩათ — 8839 ქულა.



მეორე ჯგუფში (3000-მდე მუშა-მოსამსახურე) წარმატება სპორტკლუბ „უშბის“ კოლექტივს ხვდა. მესამე ჯგუფში (საშუალო სპეციალური სასწავლებლები) თბილისის პოლიტექნიკუმის სპორტკლუბმა „მშენებელმა“ 6183 ქულით გაიმარჯვა.

აი, ეს უძლიერესი კოლექტივები მიიღებენ მონაწილეობას პროფკავშირთა ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტული კლუბების საკავშირო სპარტაკიადაში, თავიანთ ჯგუფებში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკავშირო სარბიელზე გუნდურ ტურნირში საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის შანსი არც ერთს არა აქვს, ვინაიდან რესპუბლიკურ პირად ტურნირში მოასპარეზეთა უმეტესობის ტექნიკური შედეგები ამის გარანტიას არ იძლევა.

რესპუბლიკური სპარტაკიადის მონაწილეთ ჩათვლა რომ მიეღოთ, მეორე თანრიგის შედეგის ჩვენებაც კმაროდა. სამწუხაროდ, ეს იოლი ზღუდეც კი ვერ გადალახეს 10000 მეტრზე მორბენლებმა, ბადროს მტყორცნელმა ვაჟებმა და შუბის მტყორცნელმა ქალებმა. რვა სახეობაში ჩემპიონები მეორე თანრიგის ნორმატივებს დასჯერდნენ. მართალია, სპორტის ოსტატის კანდიდატისა და პირველი თანრიგის შესაბამისი შედეგებიც საკმაოდ იყო, მაგრამ საკავშირო სარბიელზე ის შედეგები ბევრს არაფერს ნიშნავს (საკავშირო სპარტაკიადის დებულებით, გუნდებს ჩათვლას მისცემენ ის მძლეოსნები, რომლებიც, სულ ცოტა, პირველ თანრიგს შეასრულებენ და ადგილს 20 საუკეთესოს შორის დაიმკვიდრებენ).

ტურნირმა დაადასტურა, რომ ზოგიერთი სპორტკლუბის ხელმძღვანელობა, გუნდების მწვრთნელ-წარმომადგენლები სიყალბით ფონს გასვლას ცდილობენ. ამ მხრივ ყველას რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის“ მძლეოსანთა მწვრთნელმა ლ. ფილატოვამ გადააჭარბა. მან „მოახერხა“ თავისი გუნდის სახელით ისეთი სპორტსმენების გამოყვანა, რომელთაც სადღეისოდ „ფოლადთან“ საერთო არაფერი აქვთ. „ფოლადს“ ასე მისცა ორი ჩათვლა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ნ. ზავრაშვილმა 100 (12,9) და 200 (27,1) მეტრზე რბენაში. საინტერესოა, როგორ დაიყოლია ფილატოვამ ზავრაშვილი, როცა ეს უკანასკნელი ინსტიტუტის სპორტკლუბის ხელმძღვანელობამ და რექტორმა საგანგებოდ გააფრთხილეს, სხვა კლუბის სახელით ბრძოლის უფლება არა გაქვსო.

„ფოლადმა“ ასევე არასწორი გზით მიიღო ჩათვლა ბადროს მტყორცნელ ქალთა შეჯიბრებაში (36.70 მ), როცა სარბიელზე საქართველოს პროფსაბჭოს თანამშრომლის ნ. ყურაშვილის გამოყვანა მოახერხა.

მისასალმებელია, რომ თავიანთი კოლექტივების ღირსების დასაცავად წარსულში საკმაოდ ძლიერი სპორტსმენები, ასე ვთქვათ, ჯერ კიდევ მოქმედ მძლეოსნებთან ერთად თავდაუზოგავად იბრძოდნენ და წარმატებასაც აღწევდნენ. მაგალითად, უროს ტყორცნაში პირველობა დასაკუთრა რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონმა ო. ოდიშვილმა („აეროფლოტი“) — 51,82 მ. ათჭიდში სპორტის ოსტატმა ო. ყიფიანმა („უშბა“), რომელიც რამდენიმე წელია სარბიელზე აღარ გამოდის, სიმაღლეზე ხტომაში ზ. გამდლიშვილს („მშენებელი“) პირველობა ცდებით მოუგო. ორივემ 175 სმ სიმაღლე დაძლია. სამხტომში გაიმარჯვა საქართველოს ექს-რეკორდსმენმა და ექს-ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა ლ. დარახველიძემ („სინათლე“) — 14,30 მ.

ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს ვარდო ქუთათელაძემ („ელმავალი“), რომელმაც 100 მ 12,2, ხოლო 200 მ 25,4 წამში გაირბინა, და თამარ კლდიაშვილმა (სპი), რომელმაც 100 მეტრზე თარჯრბენი სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგით (14,3) მოიგო, სიგრძეზე ხტომა კი პირველი თანრიგის მაჩვენებლით — 562 სმ.

ე. გელაშვილი.

• • •

გთავაზობთ სხვა ტექნიკურ შედეგებს, რომელთაც ჩათვლა მიიღეს:

**ქალები. რბენა. 100 მ.** ლ. იევლევა („სინათლე“) — 13,0, **400 მ.** ტ. ოსიპოვა („ელმავალი“) — 1.00,4, ლ. სემირენკინა („მშენებელი“) — 1.01,4. **სიმაღლეზე ხტომა.** თ. რეფერდი — 150. **ბადროს ტყორცნა.** გ. ბერაია — 42.74. **ბირთვის კვრა.** ე. პავლოვა (სამიკე — სპი) — 13,28, ბერაია — 11,76.

**ვაჟები. რბენა. 100 მ.** ს. სვისტელნიკოვი (სპი) — 10,8, ა. ვიუნოვი („სინათლე“) — 10,8, ნ. ივანოვი („მშენებელი“)—11,2, **200 მ.** სვისტელნიკოვი — 22,3, ვიუნოვი — 22,6, ივანოვი — 23,2, **400 მ.** რ. არმეგონაშვილი (სპი) — 50,7, შ. ჯაპიშვილი — 51,0, ტ. ბახტაძე (ორივე — „სინათლე“) — 51,5; **800 მ.** გ. შოშიაშვილი (სპი) — 1.55,0, არმეგონაშვილი — 1.56,5, გ. ხუფაცარია (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 2.00,0, **1500 მ.** ვ. ნესტერენკო („ფოლადი“)—3.57,0, ი. პაპიაშვილი („სინათლე“) — 4.08,2, ი. ჩოჩიშვილი (სპი) — 4.09,6, **5000 მ.** ნესტერენკო — 14.37,8, პაპიაშვილი — 16.19,0. **400 მეტრზე თარჯრბენი.** ს. არტემიევი („ელმავალი“) — 56,2, ნ. ძიომა (სპი) — 56,8. **10 კმ-ზე სპორტული სიარული.** ი. დელაროსა („უშბა“) — 46.02,8, ვ. პეტროვი („სინათლე“) — 47.35,0, ი. პუტილკევი („მშენებელი“) — 50.08,4. **შუბის ტყორცნა.** რ. კოჩიაშვილი („სინათლე“) — 67.50, ნ. ორფანოვი („უშბა“) — 59,10, ვ. ქაფიაშვილი („სინათლე“) — 53,66. **ბირთვის კვრა.** ვ. ხმელიძე (სპი) — 15,81, თ. მექურჩლიშვილი („სინათლე“) — 15 მ, თ. ხმელიძე (სპი) — 14,50. **სიგრძეზე ხტომა.** ზ. ალხანაიძე („უკონკურსოდ“) — 765, ს. გედევანიშვილი („ფოლადი“) — 685, ი. წიკლაური (სპი) — 676. **ჭოკით ხტომა.** ს. ს. მანჟუკოვი („უშბა“) — 380.

• • •

**სურათებზე:** ვ. ქუთათელაძე (მარცხნივ) და ლ. დარახველიძე ასპარეზობის დროს.

ო. გელაშვილის ფოტოები.



# მეჯლისი...

მოსკოვი, 11 ივლისი. აქ გრძელდება ცხენოსანთა საკავშირო ჩემპიონატი. ცსკა-ს მხედრებმა ი. კალიტამ და მ. კოპეიკინმა დღეს გუნდური ოქროს ჯილდოები მოიპოვეს ცხენის გაწვრთნაში „დიდ ოლიმპიურ პრიზზე“ შეჯიბრებაში. II ადგილზე არიან შარშანდელ ტურნირში გამარჯვებულნი ე. პეტუშკოვა და ა. ვტოროვი („უროჟაი“, რსფსრ), III — მოსკოვის „ბურევესტნიკის“ ცხენოსნები (ნ. მენკოვა და ს. ბროდსკი).

ეს იყო ნამდვილი მეჯლისი (ცხენოსნობის უმაღლესი სკოლის ოსტატები სრული ოლიმპიური პროგრამით გამოდიოდნენ), სადაც ბრწყინავდნენ პეტუშკოვა, კალიტა, კიზიმოვი, ვტოროვი...

ახალგაზრდა ნინა მენკოვასთვის ეს ჩემპიონატი ძალიან იღბლიანი გამოდგა. წლევანდელ სეზონში მისთვის პირველივე ყველაზე დიდ შეჯიბრებაში სპორტსმენმა გუნდს 1762 ქულა მოუტანა, რამაც ბევრად შეუწყო ხელი „ბურევესტნიკის“ საპრიზო ადგილზე გასვლას.

გუნდური ტურნირი პირადი ასპარეზობისთვის შესარჩევი შეჯიბრებაც იყო. ამიტომ ცხენოსნობის მოყვარულები განსაკუთრებულ ყურადღებას ინდივიდუალურ შეფასებას აქცევდნენ. საუკეთესო შედეგი მოიპოვა არმიელმა კალიტამ — 1889 ქულა. პეტუშკოვა და კიზიმოვი მას ოდნავ ჩამორჩნენ, შესაბამისად 1879 და 1839 ქულა აქვთ. მენკოვამ ყველასთვის მოულოდნელად „დიდი სამეულის“ შემდეგ მოიკალათა.

მსაჯთა კოლეგიამ თავდაპირველად გადაწყვიტა „დიდ პრიზზე“ დამატებით შეჯიბრებაში 12 ცხენოსანი დაეშვა. მაგრამ შემდეგ ტურნირის შედეგები შეაჯამეს, გაითვალისწინეს დიდი წარმატება მოსკოველი არმიელის ვ. პრიხოდკოსი, რომელიც გუნდურ შეჯიბრებაში არ გამოსულა და ფინალისტთა შემადგენლობას ერთი კაციც დაუმატეს. სსრ კავშირის ჩემპიონს ამ პრიზის გათამაშებაში 13 ივლისი დაასახელებს.

გამოვლინდნენ გამარჯვებულნი „მცირე პრიზზე“ ცხენის გაწვრთნაში და ამორჩევით კონკურსში.

გაწვრთნის უძლიერესი ოსტატები სარბიელზე არ გამოსულან. პრიზიორთა სამეულში შევიდნენ პრიხოდკო, ვ. უგრიუმოვი („უროჟაი“, ბელორუსია), ლ. ფავრიშჩუკი („ავანგარდი“, კიევი).

წინაღობათა გადალახვაში საპრიზო სამეულში არიან ვ. მატვეევი (ცსკა), რ. ირტუგანოვი („ტრუდი“, მოსკოვი) და ვ. დრობიშევი (ცსკა).

საქდესი კალეიდოსკოპი

# ფეხბურთის მინდორზე... სპინინგით

საბჭოთა კავშირის უძლიერესმა სპორტსმენმა მეთევზეებმა სპინინგის ფლობის ხელოვნებაში პირველად გათამაშებული ხუთი თასის ბედი გადაწყვიტეს... საფეხბურთო მინდორზე.

ლენინგრადში სამ დღეს გაგრძელდა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები. ფაქტიურად, ეს შეჯიბრება ქვეყნის არაოფიციალური პირადი პირველობა იყო (ოფიციალურად ბოლო ასეთი შეჯიბრება ამ ოცი წლის წინ ჩატარდა კიევში).

სხვადასხვა წონის ტვირთის ყველაზე შორს და ყველაზე ზუსტად სროლაში გაიმარჯვა 18 წლის პირველთანრიგოსანმა ი. იოჰანსონმა („კალევი“), რომელიც ჭაბუკთა ჯგუფში გამოდიოდა. იგი არ დასჯერდა პრიზს „ჭაბუკთა შორის საუკეთესო მიღწევისთვის“ და ბევრი ცნობილი ოსტატიც ჩამოიტოვა. იოჰანსონს ხვდა „უფროსთა“ ყველა მთავარი ჯილდო, მათ შორის, „დიდი პრიზიც“.

ქალთა შორის პირველი იყო სპორტის ოსტატი რ. ინგელევიჩიუტე („ნემუნასი“) ქულების ჯამით მან შეჯიბრების მონაწილე ბევრ ვაჟს აჯობა.

შეხვედრის მასპინძლები — ლენინგრადელები — მაშინღა დაფაცურდნენ, როცა ხელიდან გაუშვეს უკანასკნელი ჯილდოც — „პრაქტიკულ თევზაობაში წარმატებისთვის“. მდინარე ვუოკსის ყურეში დაჭერილმა ექვსმა ქარიყლაპიამ და ქორჭილამ პირველთანრიგოსან ვ. პავლოვს (ლენინგრადის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოება) ამ შეჯიბრების რიგით მეექვსე და ბოლო ჯილდო მოუტანა.

პ. ბულუშევი.
(საქდესის კორ.).

ლენინგრადი.

45

# მოჭადრაკის მონაწილეობით

ივნისის დამლევს ფოთში მოეწყო სპორტული თამაშების უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური კომპლექსური სკოლის (დირექტორი გ. გონაძე) პირად-გუნდური პირველობა ჭადრაკში. თამაშში ჩაებნენ ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, სამტრედიის, ცხაკაიასა და ფოთის მოჭადრაკეთა გუნდები (თითოეულ კოლექტივში 4 ვაჟი და 1 ქალი შედიოდა).

საინტერესო ბრძოლის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში I ადგილი სოხუმის ნაკრებმა (25 ქულა) დაისაკუთრა. II ადგილზე არიან ბათუმის (24 ქულა), III კი ქუთაისის (22,5) წარმომადგენლები.

გაიმარჯვეს: პირველ დაფაზე რ. დადიანმა (სოხუმი), მეორეზე — ბ. ბოსენკომ (ფოთი), მესამეზე — დ. ჩელქონიანმა (ბათუმი), მეოთხეზე — ე. ჩაჩავამ (ბათუმი), ქალთა დაფაზე — მ. ხანთაძემ (ქუთაისი).

კარგი შთაბეჭდილება დატოვა პირველობის ყველაზე უმცროსმა მონაწილემ, რუსთავის მე-10 საშუალო სკოლის ფრიადოსანმა მოსწავლემ ხათუნა გურგენიძემ (მწვრთნელი გ. ძინძიბაძე).

კარგად მოწყობილმა ტურნირმა პერსპექტიული ახალგაზრდები გამოავლინა. შეჯიბრების შედეგების მიხედვით შედგება გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა რესპუბლიკისა და ქალაქის გუნდებთან შეხვედრებში.

რ. თავარიანი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

# პიონერთა ფესტივალი

თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის პედაგოგიური კოლექტივის თაოსნობით ამას წინათ სკოლის შენობაში საკავშირო პიონერული საჭადრაკო ფესტივალი მოეწყო.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ეს თაოსნობა და რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, აგრეთვე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან ერთად მიიღო დადგენილება „საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პიონერთა საჭადრაკო ფესტივალის — „მეგობრობის“ ჩატარების შესახებ“.

ფესტივალმა, რომელიც ათ დღეს მიმდინარეობდა, დიდი ინტერესი გამოიწვია. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, სომხეთის, თურქმენეთისა და ჩვენი რესპუბლიკის ოცდაათზე მეტი ნორჩი მოჭადრაკე.

მონაწილეთა უმრავლესობამ საჭადრაკო თეორიის კარგი ცოდნა, პოზიციის ანალიზისა და ტაქტიკური აზროვნების უნარი გამოავლინა.

გაიმარჯვა მასპინძელი სკოლის მოსწავლემ, პირველთანრიგოსანმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა (მწვრთნელი შ. ინწკირველი). მან დაუმარცხებლად განვლო ტურნირი, შვიდივე პარტია მოიგო და I ადგილიც დაისაკუთრა.

II ადგილი დაიკავა მინსკელმა სერგეი ბრეხუნეცმა (5,5 ქულა). III-IV ადგილები გაიყვეს თბილისელებმა იგორ ეფიმოვმა და ავთანდილ წულაძემ (5-5 ქულა).

ფესტივალში გამარჯვებულებს დიპლომები და სპეციალური პრიზები გადასცა ქალთა შორის ჭადრაკში სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონმა, საერთაშორისო ოსტატმა ნანა ალექსანდრიამ. შემდეგ მან ნორჩ კოლეგებს უამბო თავის სპორტულ გზაზე, გეგმებზე.

— ვფიქრობ, ფესტივალმა თავისი დანიშნულება სავსებით გაამართლა, — გვითხრა რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის დირექტორმა, საჭადრაკო ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ჩიქვანაიამ. — საკმარისია აღვნიშნოთ, რომ გამოვლინდნენ ნიჭიერი ნორჩი მოჭადრაკეები, პირველ ყოვლისა, მოლდავეთისა და რიგის წარმომადგენლები. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მინსკელი ბრეხუნეცი, რომლის შედეგზე, ჩემი აზრით, „სხვისი მინდვრის“ ფაქტორმა იქონია გავლენა. სხვა შემთხვევაში შეიძლება მას პირველობა არ დაეთმო. შედარებით წარუმატებლად ითამაშეს შუა აზიის რესპუბლიკებისა და აზერბაიჯანის ნორჩმა მოჭადრაკეებმა.

ჯ. ხუციშვილი,
ო. სიამაშვილი.

• • •

**სურათზე:** ფესტივალ „მეგობრობა-72“-ის პრიზიორები (მარცხნიდან) — თბილისის ექსპერიმენტული საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე ზ. აზმაიფარაშვილი, მინსკის 81-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე ს. ბრეხუნეცი, თბილისის მე-2 საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე ი. ეფიმოვი და ჟურნალ „საქართველოს ქალის“ სპეციალური პრიზის (გოგონებში საუკეთესო შედეგისთვის) მფლობელი, თბილისის ექსპერიმენტული საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე ნ. გურიელი.

გ. სანაიას ფოტო.






მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 11 ივლისი.

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 5:0 (1:0).

„სპარტაკი": დარვინი, ლოგოფეტი, ოლშანსკი, აბრამოვი, ორლოვი, კისელიოვი, მირზოევი, ჰუსაინოვი, ანდრეევი (პიანაევი), ბულგაკოვი, რედინი.

„დინამო": გოგია, ძოძუაშვილი, ხელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე (რეხვიაშვილი), მჭედლიშვილი (გოგიჯანაშვილი), გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

მსაჯი კ. ხმირნოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 2:0 „დინამოს" სასარგებლოდ.

# შეუპოვრობა სისუსტისა?

თბილისის დინამოელთა მატჩს „სპარტაკთან" ჩვენი გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კიევში აღებული ქულის შემდეგ II ადგილზე მყოფი თბილისელები კვლავინდებურად რჩებოდნენ ერთპიროვნული ლიდერის — „ზარიას" მთავარ კონკურენტად ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. მომდევნო ორ მატჩს მოსკოვსა და ბაქოში საფუძვლიანად უნდა განემტკიცებინა გუნდის პოზიციები, ვინაიდან არც „სპარტაკი" და არც „ნეფთჩი" ახლა არ ითვლებიან ისეთი ძალის მეტოქეებად, რომ მათთან 4 ქულის დაგდება არ შეიძლებოდეს

და აი, უკვე მერამდენედ ვხდებით მოწმე, რომ თბილისის „დინამო" სწორედ ასეთ პრინციპულ, გადამწყვეტ შეხვედრებს ატარებს არათუ სრული მობილიზებით, მთელი შესაძლებლობით, არამედ უკიდურესად სუსტად, უნებისყოფოდ, უსისტემოდ. თვით მეტოქეც ასეთ დროს გაოცებულია, როცა უდიდესი სიძნელეების ნაცვლად თბილისელებთან სრულიად იოლად „კრეფს" ნანატრ ქულებს. გაიხსენეთ შარშანდელი მატჩები აუტსაიდერებთან — ცსკა-სთან და „ფახთაქორთან"...

სულ ახლახან „სპარტაკი" თავის მინდორზე დამარცხდა „არარატთან". ამ მატჩის მეორე ნახევარი ჩვენც ვნახეთ ტელევიზიით. რით შეძლეს ერევნელებმა სპარტაკელთა დამარცხება? უაღრესად დიდი ბრძოლისუნარიანობით, შეუპოვრობით, მაქსიმალური ენერგიით. ისინი არც ერთ ბურთს არ უთმობდნენ მეტოქეს და ისე წარმართეს თამაში, როგორც თვითონ სურდათ.

რა შეეძლო „სპარტაკს" ეჩვენებინა თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ, როცა ამ დღეს რამდენიმე წამყვანი მოთამაშეც გამოაკლდა? მანამდე ჩატარებულ 12 კალენდარულ მატჩში სპარტაკელებს სულ 10 ბურთი ჰქონდათ გატანილი და 11 ქულით IX ადგილზე იყვნენ. 11 ივლისის შეხვედრამ კი მათ მოუტანა 2 ქულა, დიდი ანგარიშით გამარჯვება და 5 გოლი. 10 გოლი 12 შეხვედრაში და ერთბაშად 5 — ერთში! ასეთ შედეგზე ისინი ვერც იოცნებებდნენ მატჩის წინ, მაგრამ დინამოელთა ძალიან სუსტმა, უნებისყოფო, ქაოსურმა თამაშმა ეს შეუძლებელი ამბავი შესაძლებლად აქცია.

ჩვენ ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ თბილისის „დინამომ" ბოლოს და ბოლოს ისწავლა დაცვაში თამაში და შეძლო ოდესღაც ამ სუსტი რგოლის საბოლოოდ სტაბილიზება, მით უმეტეს, რომ სწორედ აქ გამოდის სსრ კავშირის ნაკრების ორი ძირითადი მოთამაშე და სხვებიც გამოცდილი, ტაქტიკურად გამობრძმედილი მცველები არიან. ამ მატჩში კი ცხადი გახდა, რომ ეს ასე არ არის. დინამოელთა დაცვა და მეკარე გოგია აბსოლუტურად ვერ გაერკვნენ სპარტაკელთა იერიშებში, ვერც ზონაში ითამაშეს, ვერც პერსონალურად შეძლეს მოპირდაპირე თავდამსხმელების ნეიტრალიზება და სისტემატურად უშვებდნენ უხეშ ტაქტიკურ შეცდომებს. რად ღირს თუნდაც ის, რომ მოსკოველთა ნახევარმცველმა მირზოევმა ისე გაატარა 90 წუთი მინდორზე, რომ თითქმის არც უგრძვნია, ვინ იყო მისი „პატრონი", ვის ევალებოდა თბილისელთაგან მისი მეურვეობა.

არც სხვა რგოლების საქმე იყო უკეთესად. გუცაევის რამდენიმე გარღვევა ფლანგზე და რეხვიაშვილის ორი დარტყმა კარში, როცა ანგარიში იყო 4:0. აი, თბილისელთა „აქტივი" ამ მატჩში!

რასაკვირველია, ძალიან დასანანი და საწყენი იყო ოლშანსკის მიერ გატანილი გოლი ტაიმის დასასრულს, როცა მსაჯის სასტვენს 5 წამი აკლდა. მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ამ გოლს ასეთი საბედისწერო როლი არ უნდა ეთამაშა ჩვენი გუნდისთვის. წინ იყო 45 წუთი, რომლის განმავლობაშიც ბევრი რამ შეიძლებოდა.

მაგრამ სწორედ ეს 45 წუთი იქცა დინამოელთა სრული აბნეულობისა და უსუსურობის დემონსტრაციის პერიოდად. პირველ ტაიმში თამაშს ასე თუ ისე ჰქონდა ბრძოლის, ორმხრივი თამაშის ხასიათი, შესვენების შემდეგ კი, ნაცვლად გაათკეცებული ძალებით შეტევისა, თბილისელებმა სრულიად დათმეს შუა მინდორი, დაკარგეს ურთიერთგაგების უნარი დაცვაში და სამარცხვინოდაც წააგეს.

მატჩის ბედი სულ რამდენიმე წუთში გადაწყდა. 51-ე და 52-ე წუთებზე ანდრეევმა მშვენივრად გამოიყენა მოპირდაპირე დაცვაში დაშვებული შეცდომები — 3:0. 56-ე წუთზე მირზოევმა სულ იოლად მოატყუა თბილისელთა მცველები — 4:0, ხოლო როცა 66-ე წუთზე ჰუსაინოვმა კიდევ ერთხელ აიძულა გოგია ბადიდან გამოეტანა ბურთი, „დინამოს" განადგურება ფაქტად იქცა.

განვლილი მატჩი ზედმეტ კომენტარებს არ საჭიროებს. იგი თბილისის „დინამოს" ისტორიაში სამარცხვინო ფურცლად შევიდა. ვიმედოვნებთ, რომ 11 ივლისის თამაში მწარე გაკვეთილად იქცევა ჩვენი გუნდისთვის, რომ მსგავსი რამ არ გამეორდება მომავალში, ვინაიდან ჩემპიონობისთვის ბრძოლა დინამოელებს კიდევ შეუძლიათ.

## მატჩები, გოლები

11 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

„დინამო" (კიევი) — „არარატი" 2:2.

კიეველი ფეხბურთელები თითქოს ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, როცა 30-ე წუთისთვის კოლოტოვმა და ბლოხინმა ორჯერ აიღეს „არარატის" კარი. მაგრამ სომეხმა ფეხბურთელებმა შესვენების შემდეგ შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში და ორივე გოლი გაქვითეს (აბრამიანი, კაზარიანი).

„დნეპრი"—„ნეფთჩი" 5:0.

დნეპროპეტროვსკელი ფეხბურთელები განაგრძობენ წინსვლას, ამასთან, მატჩებს დიდი ანგარიშით იგებენ. ბაქოელებთან შეხვედრაში „დნეპრი" თავიდანვე მტკიცედ დაეუფლა უპირატესობას და მეტოქეს მატჩის ხსნის არავითარი შანსი არ დაუტოვა. ბურთები გაიტანეს რომანიუკმა, შნეიდერმანმა, პილიპჩუკმა, გრინკომ და სლობოდიანმა.

„ზენიტი" — „ლოკომოტივი" 3:1.

ანგარიში გახსნეს რკინიგზელებმა (ჩესნოკოვი), მაგრამ მასპინძლებმა გაქვითეს გოლი (ფოკინი), შემდეგ კი ვიუნმა და ხრომჩენკოვმა კიდევ ორჯერ აიღეს მოსკოველთა კარი.

„კარპატი" — „ქაირატი" 0:0

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია" | 13 | 9 | 2 | 2 | 23—10 | 20 |
| „დინ." (თბ.) | 14 | 7 | 4 | 3 | 15—11 | 18 |
| „არარატი" | 15 | 5 | 6 | 4 | 20—12 | 16 |
| „დინ." (კ.) | 14 | 5 | 6 | 3 | 22—13 | 16 |
| „დნეპრი" | 14 | 5 | 6 | 3 | 20—16 | 16 |
| ცსკა | 14 | 7 | 2 | 5 | 16—14 | 16 |
| „ზენიტი" | 15 | 5 | 5 | 5 | 20—19 | 15 |
| „ტორპედო" | 14 | 5 | 4 | 5 | 11—16 | 14 |
| „სპარტაკი" | 13 | 5 | 3 | 5 | 15—11 | 13 |
| „დინ." (მ.) | 13 | 5 | 3 | 5 | 13—13 | 13 |
| ასკ | 14 | 5 | 3 | 6 | 17—18 | 13 |
| „კარპატი" | 15 | 4 | 4 | 7 | 12—17 | 12 |
| „ქაირატი" | 15 | 2 | 8 | 5 | 9—15 | 12 |
| „დინ." (მნ.) | 12 | 3 | 5 | 4 | 9—11 | 11 |
| „ნეფთჩი" | 13 | 3 | 3 | 7 | 9—20 | 9 |
| „ლოკომოტ." | 14 | 2 | 4 | 8 | 11—21 | 8 |

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 15 ივლისი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „დინამო" (ზუგდიდი). დასაწყისი 18 ს. „ისნის" სტადიონი. „ისანი" (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი). 18 ს.

# ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები I ადგილზეა

კასპიისკი 11 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ნახევარფინალური გათამაშება „სიჭაბუკის თასზე". დიდ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს წარმომადგენლებმა, რომლებსაც ამზადებდნენ რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები ა. ვარდიაშვილი და თ. კუბლაშვილი. ტურნირის ბოლო დღეს გუნდმა ანგარიშით 2:0 დაამარცხა ყაზახეთის ნაკრები. ბურთები გაიტანეს ჟანავამ და ნარიმანიძემ

აზერბაიჯანის გუნდმა მოუგო თურქმენეთის ნაკრებს — 1:0, ხოლო სომხეთისა და ლატვიის ფეხბურთელთა შეხვედრა დამთავრდა ამიერკავკასიელთა გამარჯვებით — 2:1.

საქართველოს ნაკრებმა 9 ქულით გათამაშებაში I ადგილი (ბურთების სხვაობა 12—2) დაიკავა. II ადგილზეა აზერბაიჯანის გუნდი — 8 ქულა. ეს ორი კოლექტივი გავიდა „სიჭაბუკის თასის" ფინალში, რომლის მატჩები 12 აგვისტოს დაიწყება ნოვოროსიისკში.

კასპიისკის ნახევარფინალში საუკეთესო მცველის პრიზი მიიღო საქართველოს გუნდის წევრმა ა. მინაშვილმა. აღნიშვნის ღირსნი არიან ნახევარმცველი თ. ჟანავა, თავდამსხმელები ჯ. პითანავა, მ. თოიძე და გ. შერაზადაშვილი.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა I ჯგუფის გუნდების მორიგი შეხვედრები.

● „ივერია" (ხაშური) — „კოლხეთი" (ხობი) 2:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

ხობელთა მეკარის მიერ მე-4 წუთზე დაშვებული შეცდომა კარგად გამოიყენა ლომსაძემ, ხოლო შემდეგ მანვე მეორე ბურთი გაიტანა სტუმართა კარში.

● „ლოკომოტივი" (თბილისი)— „გიგანტი" (ლაითური) 3:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

რკინიგზელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ და „გიგანტს" თავიდანვე დაცვისთვის მოუხდა ზრუნვა, თუმცა „ლოკომოტივმა" წარმატებას მხოლოდ შესვენების შემდეგ მიაღწია. ანგარიში 75-ე წუთზე გახსნა კაველაძემ, შემდეგ სართანიამ და გაგუამ კიდევ თითოჯერ აიღეს მეტოქის კარი.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „სულორი" (ვანი) 2:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

ვანელთა ერთ-ერთმა მცველმა 68-ე წუთზე უხეიროდ მიაწოდა ბურთი თავის მეკარეს, ბურთს მიუსწრო ცხაკაიელმა ლიხოვიდიმ და ანგარიშიც გახსნა. მატჩის დასასრულს „სულორის" დაცვაში ასეთივე შეცდომა გამეორდა და ქაჩიბაიამ ანგარიში გაზარდა.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია ვანელი ვ. ტრაპაიძე.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „სამცხე" (აწყური) 2:0. მსაჯი ზ. თოდაძე (ქუთაისი).

● „დინამო" (ზუგდიდი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 4:0. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

გავიდა 30 წუთი და სტუმრების კარში ზედიზედ 4 ბურთი აღმოჩნდა გატანილი კემულარიას, დარასელიას (2) და კოროლიოვის დარტყმების შემდეგ. შესვენების მერე გორელები ბევრს ეცადნენ შეემცირებინათ სხვაობა ანგარიშში, მაგრამ ვერას გახდნენ.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებული არიან ო. აბრალავა („დინამო") და ბ. ბელიძე („ქართლი").

● „კახეთი" (თელავი) — „შუქურა" (ქობულეთი) 3:1. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 8:0. მსაჯი ლ. ვერულიძე (ბათუმი).

„ფეიქრის" კარში ბურთები გაიტანეს ჯ. ოდიშარიამ (2) და კ. ოდიშარიამ.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებული არიან „სალხინოს" მოთამაშეები ო ჭილაია და თ. კუჭავა, აგრეთვე, წულუკიძელი ა. ანდრიაძე.

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „მეშახტე" (ტყიბული) 1:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

გათამაშების ლიდერთა შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია და ბევრი მაყურებელიც მიიზიდა. სტუმრებმა სწრაფი იერიშებით დაიწყეს თამაში. მე-7 წუთზე ქარქაშაძის ზუსტი დარტყმის შემდეგ ბურთი სამტრედიელთა კარში აღმოჩნდა. შემდეგ ტყიბულელებს ტაიმის ბოლომდე კიდევ რამდენიმეჯერ მიეცათ კარის აღების შესაძლებლობა, მაგრამ ვერ გამოიყენეს შესვენების შემდეგ „ლოკომოტივმა" სრული გარდატეხა შეიტანა თამაშში. მეშახტეთა კართან ზედიზედ იქმნებოდა საგოლე მომენტები, რომელთაგან ერთ-ერთი ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა მესიაჩენკომ.

უწესო საქციელისთვის გაფრთხილებული არიან ტყიბულელი ბ. თოდაძე და სამტრედიელი გ. დოლიძე. ორივე ეს ფეხბურთელი წლეულს მეორედაა გაფრთხილებული.

### II ჯგუფი

#### I ზონა

„კოლმეურნე" (ტიბაანი) — „ქართლი" (ლაგოდეხი) 3:1, „ცისკარი" (სიღნაღი) — „არაგვი" (დუშეთი) 3:0, „ვარძია" (ასპინძა) — „თრიალეთი" (წალკა) 2:0, „ვაზი" (შრომა, გურჯაანის რაიონი) — „გარისი" (თეთრი წყარო) 5:0, „მევენახე" (ვაზისუბანი) — „დურუჯი" (ყვარელი) 2:2.

#### II ზონა

„სქური" (წალენჯიხა) — „მზიური" (გალი) 0:0, „მადაროელი" (ჭიათურა) — „იმერეთი" (თერჯოლა) 2:1, „ავტომობილისტი" (მაიაკოვსკი) — „დინამო" (ქუთაისი) 3:1, „განახლება" (ადიგენი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 2:1, „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 2:1, „ჩიხურა" (საჩხერე) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 2:1, „ამირანი" (ოჩამჩირე) — „კომეტა" (ფოთი) 3:0, „კახაბერი" (ხელვაჩაური) — „განთიადი" (აბაშა) 1:2, „მზიური" (გალი) — „დიოსკურია" (სოხუმი) 1:2.

### ზონალური პირველობა

„აბული" (ახალქალაქი) — „არაგვი" (მცხეთა) 2:0, „ავრანლო" (წალკა) — „განთიადი" (მარნეული) 2:5, „იორი" (თიანეთი) — „სოფლტექნიკა" (თელავი) 2:3, „ძველი ანაგა" (სიღნაღი) — „მუკუზანი" (გურჯაანი) 1:2, „რუბეროიდი" (გარდაბანი) — „ქისტაური" (ახმეტა) 4:1, „მშენებელი" (ჭიათურა) — „კოლმეურნე" (ლანჩხუთი) 2:1, „ავტომობილისტი" (სამტრედია) — „ლაშე" (მახარაძე) 5:1, „ყინწვისი" (ქარელი) — „მეხალიჩე" (ცხაკაია) 5:2.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 13 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (ზუგდიდი) | 22 | 14 | 6 | 2 | 39—10 | 34 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 22 | 14 | 6 | 2 | 38—23 | 34 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 22 | 13 | 6 | 3 | 41—17 | 32 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 21 | 11 | 6 | 4 | 38—20 | 28 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 22 | 10 | 6 | 6 | 28—28 | 26 |
| „სულორი" (ვანი) | 21 | 9 | 6 | 6 | 20—14 | 24 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 22 | 8 | 7 | 7 | 37—26 | 23 |
| „კახეთი" (თელავი) | 21 | 9 | 4 | 8 | 26—24 | 22 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 21 | 9 | 4 | 8 | 21—23 | 22 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 22 | 9 | 4 | 9 | 25—27 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 21 | 7 | 7 | 7 | 26—24 | 21 |
| „სამცხე" (აწყური) | 22 | 8 | 5 | 9 | 32—36 | 21 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 22 | 9 | 3 | 10 | 25—34 | 21 |
| „ივერია" (ხაშური) | 22 | 7 | 4 | 11 | 19—36 | 18 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 22 | 5 | 7 | 10 | 14—25 | 17 |
| ასკ (თბილისი) | 17 | 6 | 4 | 7 | 22—19 | 16 |
| „ისანი" (თბილისი) | 20 | 5 | 6 | 9 | 21—26 | 16 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 22 | 7 | 1 | 14 | 35—41 | 15 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 20 | 5 | 4 | 11 | 15—25 | 14 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 21 | 1 | 8 | 12 | 21—36 | 10 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 21 | 3 | 4 | 14 | 9—38 | 10 |

## რაიონის სპორტსმენები

### ✦ ზუგდიდი

დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც 12 სახეობა შედიოდა. კომპლექსურ ჩათვლაში ყველას აჯობა ცაიშის საშუალო სკოლის (დირექტორი კ. ქარჩავა, ფიზაღზრდის მასწავლებელი ხ. კუკავა) ნაკრებმა. აღსანიშნავია, რომ ცაიშელი მოსწავლეები რაიონის ათგზის ჩემპიონები არიან.

• • •

„კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა ხელბურთელ ვაჟთა შორის ზედა ეწერის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის გუნდმა მოიპოვა. ქალთა შორის გაიმარჯვეს ცაიშის კოლმეურნეობის ხელბურთელებმა.

ა. ფიფია.

# „გლაზგო რეინჯერსს"... აპატიეს

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩის ამბები, როცა შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსმა" არანორმალურ პირობებში შეძლო მოსკოვის „დინამოს" დამარცხება და შინ წაიღო პრიზი.

უეფა-ს დისციპლინარულმა კომიტეტმა ბრიუსელში განიხილა მოსკოვის „დინამოს" პროტესტი და შოტლანდიის გუნდს საერთაშორისო შეჯიბრებებში 2 წლით დისკვალიფიკაცია მისცა. შოტლანდიელებმა ეს დადგენილება გააპროტესტეს უეფა-ს სააპელაციო კომისიაში და მიაღწიეს იმას, რომ გაენახევრებინეს სასჯელი. ესე იგი, „გლაზგო რეინჯერსი" დისკვალიფიცირებულია მხოლოდ 1972-73 წლების სეზონში.

# „მცირე მსოფლიო ჩემპიონატის" შესახებ

ბრაზილიაში დამთავრდა „კოპა დო ინდეპენდენსიას" გათამაშება, სადაც ასპარეზობის მასპინძლებმა — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებმა კვლავ დაამტკიცეს, რომ უძლიერესნი არიან.

მაგრამ „მცირე მსოფლიო ჩემპიონატი" მაინც ვერ გამოვიდა ისეთი, როგორიც მასპინძლებს სურდათ. სპორტული პრესა აღნიშნავს, რომ ბრაზილიელებს ძალიან უნდოდათ შეჯიბრებაში ევროპის უძლიერეს გუნდებსაც მიეღოთ მონაწილეობა, რათა მთელი მსოფლიოსთვის დაემტკიცებინათ სამხრეთამერიკული ფეხბურთის პრიორიტეტი. გფრ-ისა და ინგლისის ეროვნული გუნდების ხელმძღვანელებმა უარი განაცხადეს თამაშზე.

განსაკუთრებით მტკიცე უარი თქვეს ინგლისელებმა. როგორც გაზეთები წერენ, ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ ამით აგრძნობინა ლათინური ამერიკის ქვეყნების საფეხბურთო წრეებს, რომ ვერ აპატიებს მათ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის წინ პრესაში ატეხილ აურზაურს, როცა ინგლისელ ფეხბურთელებს „ქურდები" და „ზღვის მეკობრეები" უწოდეს.

ამ ასპარეზობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ჰოლანდიის, ესპანეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების ეროვნულმა გუნდებმაც.

მიუხედავად ამ არაოფიციალური ბოიკოტისა, „მცირე მსოფლიო ჩემპიონატის" სარბიელზე გამოვიდნენ ევროპის ისეთი ძლიერი კოლექტივები, როგორიც არიან საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, შოტლანდიისა და პორტუგალიის გუნდები.

თუ ასპარეზობის დასაწყისში ბრაზილიის სპორტული პრესა ცდილობდა არ შეექო შოტლანდიელები (ისინიც ხომ ბრიტანელები არიან) და პორტუგალიელები (ეს გუნდი მუდამ ბრაზილიის ნაკრების არასასურველი მეტოქეა), ფინიშის შემდეგ ბევრი სხვადასხვა ქვეყნის სპორტულმა ჟურნალისტებმა, რადიო- და ტელეკომენტატორებმა (მათ შორის, ბრაზილიელებმაც!) აღნიშნეს, რომ მსოფლიო ჩემპიონის გამარჯვება არც ისე დამაჯერებელი იყო. განსაკუთრებით ეს ითქმის ფინალურ შეხვედრაზე, სადაც პორტუგალიის ნაკრებმა ძალიან კარგად ითამაშა.

შოტლანდიის კოლექტივს ადგილობრივი პრესა „უაღრესად სწრაფ, ორი შესანიშნავი გარემარბისა და დახვეწილი ტექნიკის პატრონ გუნდს" უწოდებს ამ ტურნირის ყველაზე პოპულარული პიროვნება ალბათ შოტლანდიელთა მწვრთნელი ტომ დოჰერტი იყო, რომელიც ბრაზილიელ ჟურნალისტებს მათს მშობლიურ პორტუგალიურ ენაზე ესაუბრებოდა.

კვლავ „გამოიჩინეს თავი" არგენტინელებმა, რომლებმაც იუგოსლაველებთან შეხვედრაში მინდორზე აურზაური ატეხეს. მართალია, არბიტრმა მინდვრიდან გააძევა იუგოსლაველი კატალინსკი და არგენტინელთა კაპიტანი პასტორიზა, მაგრამ, მომომხილველთა აზრით, არგენტინელი მოთამაშეები მაინც ყველაზე მეტს უხეშობდნენ.

პორტუგალიის ნაკრები, ბრაზილიის გუნდთან ერთად, ტურნირის ფავორიტად ითვლებოდა. პორტუგალიელთა შემადგენლობის ბირთვს კვლავ ლისაბონის „ბენფიკის" მოთამაშეები შეადგენენ, რომელთაც უბერებელი ეუსებიო (იგი ახლა ნახევარმცველია) ხელმძღვანელობს. სპორტული მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ბრაზილიის ნაკრებთან ფინალურ შეხვედრაში, რომელიც პორტუგალიელებმა წააგეს ანგარიშით 1:0, პორტუგალიის გუნდმა ყველას დაუმტკიცა, რომ არაფრით ჩამოუვარდებოდა გამარჯვებულებს.

ევროპელი კომენტატორები აღნიშნავენ, მსოფლიო ჩემპიონებმა შესანიშნავად ითამაშეს. მაგრამ „უძლეველი გუნდის" შთაბეჭდილება მაინც ვერ მოახდინეს.

**საკუთარი ინფორმაცია**

# [illegible]-72

● **პულა**, 10 ივლისი. საბჭოთა ველოსიპედისტების შესანიშნავი გამარჯვებით დამთავრდა „იუგოსლავიის ტური": ამ საერთაშორისო ტრადიციულ მრავალდღიან ველორბოლაში (ტრასის სიგრძე 1100 კმ) მათ პირად ჩათვლაშიც ყველას აჯობეს და გუნდურშიც. I ადგილი დაიკავა ლავრუშკინმა — 26.38.00, II ადგილზეა შარაფულინი — 26.39.07, III — პოლონელი ლაბოსი — 26.40.02, IV — ზახაროვი — 26.40.52. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა გუნდმა შეჯიბრების თავშივე მოპოვებული ლიდერობა ბოლომდე არავის დაუთმო. II ადგილზე გავიდა მასპინძელთა ნაკრები, ხოლო III — პოლონეთის ველოსიპედისტთა გუნდი.

● **ლიუცერნი**, 10 ივლისი. როტზეეს ტბაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ტრადიციულმა ლიუცერნის რეგატამ. საბჭოთა ნიჩბოსანს ი. მალიშევს ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრის კარგი შანსი გაუჩნდა — ერთადგილიანებით შეჯიბრება დამაჯერებლად მოიგო — 7.07,68. მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ოთხადგილიანებით შეჯიბრების ფინალში. გდრ-ის გამოცდილმა ნიჩბოსნებმა — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა ზუსტად გაიანგარიშეს თავიანთი ძალები და დისტანციის ბოლო 100 მეტრზე მძლავრი ბიძგით გაიმარჯვეს — 5.44,98. II ადგილზეა გფრ-ის ნავი — 5.47,05, III — საბჭოთა ეკიპაჟი — 5.48,54. საკმაოდ კარგად გამოვიდა ლენინგრადის „დინამოს" ორადგილიანი მესაჭიანი გასაშლელი ნავი (ეშინოვი და ივანოვი), რომელიც 0,7 წამზე ნაკლები დროით ჩამორჩა გდრ-ის ეკიპაჟს (ვუნკელი და ლიუკე). დამარცხების მიუხედავად, ამ ორი ნავის „დუელის" საერთო ანგარიშია 3:2 ლენინგრადელთა სასარგებლოდ.

● **ჩერნოვცი**, 10 ივლისი. დამთავრდა რუსულ და საერთაშორისო შაშში სსრ კავშირის თასის შეჯიბრებები ნახევარფინალურ ჯგუფებში. ბრძოლაში ჩაება მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის 13 გუნდი. მონაწილეთა შორის არიან: საერთაშორისო შაშში — საერთაშორისო დიდოსტატი ვ. შჩოგოლევი (მოსკოვი), დიდოსტატი ა. განტვარგი (მინსკი), საერთაშორისო ოსტატი ა. მოგილიანსკი (ლენინგრადი), რუსულ შაშში — დიდოსტატები ნ. აბაციევი (მოსკოვი), ვ. გაბრიელიანი (ბაქო), ვ. ლიტვინოვიჩი (ლენინგრადი), სსრ კავშირის 1971 წლის ჩემპიონები, ოსტატები ე. მიხაილოვსკაია (მოსკოვი) და ი. სპასკაია (ლენინგრადი). ფინალში შემდეგი გუნდები გავიდნენ (კონკურსის მიხედვით): 1. ლატვია, 2. ლენინგრადი, 3. ბელორუსია, 4. უკრაინა, 5. მოსკოვი, 6. რსფსრ.



# პირველ დღეს ორი მსოფლიო რეკორდი

**რომა**, 11 ივლისი. დღეს აქ სტარტი აიღო უძლიერეს ძალოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებამ „ბალტიის თასზე". ფიცარნაგზე შვიდი ქვეყნის სპორტსმენები გამოვიდნენ.

პირველ დღეს უძლიერესები გამოვლინდნენ უმჩატეს, მჩატე და ქვემსუბუქ წონებში. სამივე წონაში ასპარეზობა საბჭოთა სპორტსმენების დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა. ეს დღე იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ დამყარდა მსოფლიოს ორი რეკორდი და ორივე საბჭოთა ძალოსნის, ლვოველი ჟურნალისტის ა. გნატოვის (უმჩატესი წონა) დამსახურებაა გახლდათ. გნატოვმა 120,5 კგ აჰკრა, რაც მისსავე მსოფლიო რეკორდზე ნახევარი კილოგრამით მეტია. ლვოველმა ათლეტმა 132 კგ აჰკრა, რაც აგრეთვე მსოფლიო რეკორდია. სამჭიდში გნატოვმა 335 კგ დააგროვა და I ადგილი დაიკავა.

პერმელი გ. ჩეტინის გამარჯვებით დამთავრდა მჩატე წონის ძალოსანთა შეჯიბრება. მან საკმაოდ მაღალ შედეგს მიაღწია — 372,5 კგ.

ქვემსუბუქ წონაში გაიმარჯვა მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა, დონეცკელმა ი. გოლუბცოვმა — 382,5 კგ. ეს შედეგი ერთობ მოკრძალებულია თვით გოლუბცოვისთვის, რომელიც „400-ანთა კლუბის" წევრია.

# უიმბლდონის კორტებზე

დამთავრდა უიმბლდონის ტურნირი.

ქალთა წყვილებში I ადგილი დაიკავეს კინგმა (აშშ) და სტოუვმა (ჰოლანდია), რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში ასევე ინტერნაციონალურ დუეტს — ფრანგ დიურსა და ავსტრალიელ დილტონს აჯობეს — 6:2, 4:6, 6:3.

შერეულ წყვილთა ტურნირში უძლიერესნი აღმოჩნდნენ ამერიკელი როზმარი კაზალსი და რუმინელი ილიე ნასტასე. ფინალურ შეხვედრაში მათ სძლიეს გულაგონგსა (ავსტრალია) და უორვიკს (აშშ) — 6:4, 6:4.

ჭაბუკთა ტურნირში გაიმარჯვა შვედმა ბ. ბორგმა, რომელმაც ფინალური მატჩი მოუგო ბ. მოტრემს (დიდი ბრიტანეთი) — 6:3, 4:6, 7:5.

• • •

სურათზე: უიმბლდონის წლევანდელი ჩემპიონი ვაჟთა ერთეულებში ს. სმითი (აშშ) თამაშის დროს. როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, სმითმა გადამწყვეტ შეხვედრაში სძლია ნასტასეს — 4:6, 6:3, 6:3, 4:6, 7:5.

„მორნინგ სტარის" (ლონდონი) (ფოტო).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

მოგვყავს რამდენიმე ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატების საბოლოო შედეგები:

## გფრ

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი" (მიუნხენი) | 34 | 101:38 | 55 |
| „შალკე 04" (გელზენკირხენი) | 34 | 76:35 | 52 |
| „ბორუსია" (მენხენგლადბახი) | 34 | 82:40 | 43 |
| „ფკ კიოლნი" | 34 | 64:44 | 43 |
| „აინტრახტი" (მაინის ფრანკფურტი) | 34 | 71:61 | 39 |
| „ჰერთა" (დას. ბერლინი) | 34 | 46:55 | 37 |
| „კაიზერსლაუტერნი" | 34 | 59:53 | 35 |
| „შტუტგარტი" | 34 | 52:56 | 35 |
| „ბოხუმი" | 34 | 59:69 | 34 |
| „ჰამბურგერ შფ" (ჰამბურგი) | 34 | 52:52 | 33 |
| „ვერდერი" (ბრემენი) | 34 | 63:58 | 31 |
| „აინტრახტი" (ბრაუნშვაიგი) | 34 | 43:48 | 31 |
| „ფორტუნა" (დიუსელდორფი) | 34 | 40:53 | 30 |
| „დუისბურგი" | 34 | 36:51 | 27 |
| „როტ-ვაისი" (ობერჰაუზენი) | 34 | 33:66 | 25 |
| „ჰანოვერ 96" | 34 | 54:69 | 23 |
| „ბორუსია" (დორტმუნდი) | 34 | 34:83 | 20 |
| „არმინია" (ბილეფელდი) | 0 | 0:0 | 0 |

„არმინია" მეკა სეზონში დისკვალიფიცირებული იქნა მაქინაციებისთვის.

## რუმინეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| „არჯეში" (პიტეშტი) | 30 | 51:35 | 41 |
| „უტ არადი" | 30 | 51:29 | 37 |
| „უნივერსიტატეა" (კლუჟი) | 30 | 39:27 | 37 |
| „ასა" (ტირგუ მურეში) | 30 | 35:30 | 35 |
| „სტიაგულ როშუ" (ბრაშოვი) | 30 | 37:21 | 34 |
| „ბაკეუ" | 30 | 41:41 | 32 |
| „დინამო" (ბუქარესტი) | 30 | 46:36 | 31 |
| „უნივერსიტატეა" (კრაიოვა) | 30 | 42:35 | 31 |
| „სტიაუა" (ბუქარესტი) | 30 | 36:27 | 30 |
| „რაპიდი" (ბუქარესტი) | 30 | 40:39 | 30 |
| „ფარული" (კონსტანცა) | 30 | 28:28 | 27 |
| „ჟიული" (პეტროშენი) | 30 | 26:38 | 27 |
| „სფირ" (კლუჟი) | 30 | 27:37 | 25 |
| „პეტროლული" (პლოეშტი) | 30 | 23:49 | 25 |
| „პოლიტეხნიკა" (იასი) | 30 | 30:42 | 24 |
| „კრიშული" (ორადეა) | 30 | 17:54 | 14 |

## პოლონეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| „გურნიკი" (ზაბჟე) | 26 | 45:23 | 37 |
| „ზაგლემბიე" (სოსნოვეცი) | 26 | 31:26 | 33 |
| „ლეგია" (ვარშავა) | 26 | 36:20 | 32 |
| „რუხი" (ხოჟუვი) | 26 | 46:33 | 30 |
| „სტალი" (მიელეცი) | 26 | 29:19 | 30 |
| „გვარდია" (ვარშავა) | 26 | 28:21 | 28 |
| „ოდრა" (ოპოლე) | 26 | 25:25 | 27 |
| „ზაგლემბიე" (ვალბჟიხი) | 26 | 22:21 | 26 |
| „ვისლა" (კრაკოვი) | 26 | 29:34 | 25 |
| „პოლონია" (ბიტომი) | 26 | 19:31 | 21 |
| „პოგონი" (შჩეცინი) | 26 | 24:37 | 20 |
| ლკს (ლოძი) | 26 | 24:39 | 19 |
| „სტალი" (ჟეშუვი) | 26 | 20:32 | 18 |
| „შომბიერკი" (ბიტომი) | 26 | 24:39 | 18 |

## ავსტრია

| | | | |
|---|---|---|---|
| „ვაკერი" (ინსბრუკი) | 28 | 49:20 | 39 |
| „აუსტრია" (ვენა) | 28 | 49:34 | 38 |
| „ვოესტი" (ლინცი) | 28 | 52:26 | 35 |
| „აუსტრია" (ზალცბურგი) | 28 | 47:29 | 35 |
| „რაპიდი" (ვენა) | 28 | 39:23 | 33 |
| „ალპინე" (დონავიცი) | 28 | 31:28 | 30 |
| „შტურმი" (გრაცი) | 28 | 37:39 | 30 |
| „გრაცერ აკ" | 28 | 31:41 | 28 |
| „ვიენა" (ვენა) | 28 | 30:31 | 25 |
| „ვინერ შპორტკლუბი" (ვენა) | 28 | 27:43 | 25 |
| „ლინცერ ასკ" | 28 | 37:39 | 24 |
| „აიზენშტადტი" | 28 | 29:30 | 24 |
| „ადმირა-ვაკერი" (ვენა) | 28 | 31:39 | 24 |
| „ზიმერინგი" | 28 | 23:48 | 22 |
| „ლიბერი" (ბიშოფსჰოფენი) | 28 | 22:64 | 8 |

## შვეიცარია

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაზელი" | 26 | 66:28 | 43 |
| „ციურიხი" | 26 | 55:28 | 39 |
| „გრასჰოპერსი" (ციურიხი) | 26 | 56:24 | 38 |
| „ლოზან სპორტსი" (ლოზანა) | 26 | 50:36 | 30 |
| „იანგ ბოისი" (ბერნი) | 26 | 46:31 | 29 |
| „ვინტერტური" | 26 | 37:32 | 28 |
| „სიონი" | 26 | 37:36 | 26 |
| „სერვეტი" (ჟენევა) | 26 | 39:47 | 25 |
| „ლუგანო" | 26 | 33:39 | 23 |
| „გრენხენი" | 26 | 27:40 | 23 |
| „შო-დე-ფონი" | 26 | 25:45 | 21 |
| „სენტ-გალენი" | 26 | 27:46 | 15 |
| „ლიუცერნი" | 26 | 24:49 | 15 |
| „ბილი" | 26 | 26:67 | 9 |

**მსოფლიო ტელეგრაფის შეტყობინება**




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008). დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99 59 14. რედაქტორის მოადგილე — 93 97 51. პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 52. მასობრივ ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93 97 55, სპორტული განყოფილება — 99 56 47, 93 97 58. ფეხბურთის განყოფილება — 99 81 71, 93 97 56. ჭადრაკის განყოფილება — 93 97 57, წერილების განყოფილება — 93 97 54. მემანქანეთა ბიურო — 93 97 59. ფოტოლაბორატორია — 93 97 58. გამომშვები — 93 93 81, კორექტორები — 93 97 49.